

ზუთხის ხარისხების ლექციები

6

1. მიფრინავს წერო ---------- 3
2. წვიმა ისევ ატირდა ---------- 9
3. ოცნების გემი ---------- 14
4. მერკური ---------- 22
5. მე მჯერა შენი ---------- 26
6. მაგნოლია ---------- 31
7. ახალი საუკუნე ---------- 37
8. ღიმილის გოგონა ---------- 43
9. ნაჩუქარი ღიმილი ---------- 46
10. ზღაპარი გრძელდება ---------- 51
11. მამის ზღაპარი ---------- 55
12. ბაბაჯანა ---------- 60
13. გუდიანი კაცი (ბიჭის სამღერი) ---------- 66
14. გუდიანი კაცი (გოგონას სამღერი) ---------- 70
15. სიმღერით დავხატავ ცხოვრებას ---------- 74
16. უშენოდ რა იყო ---------- 80
17. შვიდფერა ყვავილი ---------- 86
18. სიცოცხლის ხე ---------- 91
19. მთვარის შუქზე ---------- 95
20. ყვავილები ---------- 102

მიფრინავს წერო

1996 წ. ქ. თბილისი

Allegretto

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნინო სირბილაძის




ბე რი შკ ვე ვერ ი კა ვებს ცრემლს
სა ით წა ხველ ჩე მო სა ნატ რე ლო.
წე რო სა ვით გა მიფ რინ დი შენც


თბი ლი ქვეყ ნის სურ ნე ლე ბა გხიბ ლავს სხვი სი
თბი ლი გუ ლი ჩემს გულს არ ჰგავს დღეს მიფ რი ნავს
f
f
წე რო უნ და მოგ წე რო


რომ ზამ თა რი დამ ზაფ რა ვი არც ი სე
შო რი ა მიქ რი ხარ მწვე ლო
ოც ნე ბის წე ლო დავ ბრუნ დე


ბი დავ ბრუნ დე ბი არ მგო ნი ა

მიფრინავს წერო

ცას აეკრა თოვლისფერი წერო,
ნოემბერი უკვე ვერ იკავებს ცრემლს,
საით წახველ ჩემო სანატრელო,
წეროსავით გამიფრინდი შენც,
თბილი ქვეყნის სურნელება გხიბლავს,
სხვისი თბილი გული ჩემს გულს არ ჰგავს დღეს.
მისამღერი:

მიფრინავს წერო,
უნდა მოგწერო,
რომ ზამთარი დამზაფრავი
არც ისე შორია.
მიქრიხარ მწველო,
ოცნების წელო,
დაბრუნდები, დავბრუნდები
არ მგონია.

გაფრინდება თოვლისფერი წერო,
უკანასკნელ ფოთოლს გაეყრება ხე,
შენც უეცრად გამეყრები მე ვგრძნობ,
ვერ გაგათბობს შემოდგომის მზე,
მაინც მინდა სიმღერები ვწერო,
ვწერო და ვუმღერო შენს თოვლისფერ ფრთებს.
მისამღერი:

წვიმა ისევ ატირდა

1993 წ. ქ. თბილისი

Adagio

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ბიბო სირბილაძის




ჩემს თვა ლებ ში ი სევ გა წვიმ და ი სევ გა მებ ზა რა
mf
ხმა ი სევ ვე გავ ბე დე გამ ხე ლა
mf
ერ თი სა ნუკ ვა რი ფიქ რის სულ ში შე უც ნო ბი


რამ ხდე ბა ნე ტავ ვის მო ვე ლი ვის ჩე მო
უთქ მე ლო ლურ ჯო ზდა პა რო წვი მაც
და წვი მის წვე თი ა ქა ო თუ შე


მა ჭი დე სუ ლის ქა რა შოტს მი ბო
ძე ღმერ თო ძა ლა ო
pp

წვიმა ისევ ატირდა

წვიმა გულსაკლავად ატირდა,
დარდი გასჩენია მასაც,
ჩემს თვალებშიც ისევ გაწვიმდა,
ისევ გამებზარა ხმა.
ისევ ვერ გავბედე გამხელა,
ერთი სანუკვარი ფიქრის,
სულში შეუცნობი რამ ხდება,
ნეტავ ვის მოველი, ვის.

მისამღერი: ჩემო უთქმელო ლურჯო ზღაპარო,
წვიმაც და წვიმის წვეთი აქაო,
თუ შემაჭიდე სულის ქარაშოტს,
მიბოძე ღმერთო ძალაო.

სანამ გობელენებს გამოფენს,
ქარი აშარი და ცელქი,
იქნებ გულში მაინც გამოვტყდე,
სიყვარულს რომ მოველი.

ოცნების გემი

1989 წ. ქ. თბილისი

Allegro

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით ქურიძის




პა ტა რა ცის ფე რი ტალ ღა
ტალ ღებ თან თა მაშ ში არ უყ ვართ დელ ფი ნებს
ცდა გა მოპ ქეც დეკ ფი ნო


გემს და ნუ დამ ტო ვებ ფიქ რებ . თან მარ ტო.
შე ნი და ჩე მი ა ცა სა ვით უ ძი . რო
მეორედ ერთხელ
1
2
ზღვა
ზღვა
მეორედ ერთხელ


f
მი ცუ რავს ოც ნე ბის გე მი
f
მი ცუ რავს მი არ ღვევს ტალ ღებს
მი ცუ რავს იქ სა დაც გვე ლის


ჯა დოს ნურ კუნ ძუ ლის ცა
მე ვი ცი ვი პო ვი
კუნ ძულს რო ბინ ზონს შევ ხვდე ბი
მა ლე შე ვის მენ მის კე თილ ბუზ ღუნს


და ერ თად გავ ყვე ბით გზას
Coda
მი ცუ რავს ოც ნე ბის გე მი
Coda
მი ცუ რავს მი არ ღვევს ტალ ღებს


მი ცუ. რავს იქ სა დაც გვე ლის
ჯა დოს ნურ კუნ ძუ ლის ცა

ოცნების გემი

ნიავთან თამაშობს პატარა ცისფერი ტალღა,
ტალღებთან თამაშში არ უყვართ დელფინებს ცდა,
გამოჰყევ დელფინო გემს, და ნუ დამტოვებ
ფიქრებთან მარტო,
შენი და ჩემია ცასავით უძირო ზღვა.
მერცხლების ნავარდს ჰგავს ტალღებში ნავარდი თქვენი,
ფიქრებში ჩაძირულს მომისწრებთ სილაღით კვლავ,
გულს გიშლის კეთილი ზღვა, თბილად ხელს გვიქნევს
თოლიის ფრთებით,
დელფინთა დედაა, სიზმრების დედაა ზღვა.

მისამღერი: მიცურავს ოცნების გემი,
მიცურავს მიარღვევს ტალღებს,
მიცურავს იქ სადაც გველის,
ჯადოსნურ კუნძულის ცა.

მასცავლე დელფინო ტალღებში ქარივით ქროლვა,
მაჩვენე ყველაზე სწორი და კეთილა გზა,
მითხარი რას მღერის ზღვა, და რას ბუტბუტებს
ტალღებთან ქარი,
ხომ მართლა ჩვენია ცასავით უძირო ზღვა.

II მისამღერი: მე ვიცი ვიპოვი კუნძულს,
რობინზონს შევხვდები მალე,
შევისმენ მის კეთილ ბუზღუნს,
და ერთად გავყვებით გზას.

მისამღერი: მიცურავს ოცნების გემი,
მიცურავს მიარღვევს ტალღებს,
მიცურავს იქ სადაც გველის,
ჯადოსნურ კუნძულის ცა.

მერკური

1989 წ. ქ.თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი არჩილ აზმაიფარაშვილის

Allegro

Voice

Piano

mf

f

𝄋 *mf*

ვარ სკვლა ვე ბით სავ სე არ მას ვე ნებს ზე ცა

𝄋

mf


სა ა თო ბით შევ ყუ რებ
არ მას ვე ნებს ფიქ რი იქ
ნებ ვი ღაც დღე საც გვე ლო დე ბა მერ კურ ზე
f
მე სიზმ რე ბა უც ხო პლა ნე ტა
f
გზავ ნის ჩვენ თან მფრი ნავ თეფ შებს.


მაგ რამ დღემ დე ვერ ვინ გა ბე და ჩე მი
და ბე ბოს მიწ ვე ვა თე ფშხე

“მერკური”

ვარსკვლავებით სავსე არ მასვენებს ზეცა
საათობით შევყურებ,
არ მასვენებს ფიქრი, იქნებ ვინმე დღესაც
გველოდება მერკურზე.

მისამღერი: მესიზმრება უცხო პლანეტა,
გზავნის ჩვენთან მფრინავ თეფშებს,
მაგრამ დღემდე ვერვინ გაბედა
ჩემი და ბებოს მიწვევა თეფშზე.

ზოგი ამბობს ჭამსო უცხო პლანეტელი
აჩმასა და საზამთროს,
ერთმა ისიც მითხრა მერკურელი მსმელი
ადესით რომ დაათრო.

მე მჯერა შენი

2004 წ. ქ.თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ალეკო კაკულიასი

Allegretto




ფიქ რე ბი ვით მწვე ლი ა
სიყ ვა რულ ზე არ ვინ ი ცის ბევრ ჯერ მი ოც ნე ბი ა
mf
დღეს კი რო ცა შენ თან ვარ
mf


მი ხა რი ა სი ცოცხ ლე მე გიმ ღე რი
და ყო ველ თვის შენ ზე ვფიქ რობ ყო ველ თვის
f
შენ ზე მლოც ვე ლი ვხა რობ და გა
f


და რებ მზეს ა სე ი ნე ბა ღმერთ მა და გუ ლი
გამთ ბა რი შენ ზე ოც ნე ბე ბით
ი სევ მოგ ვიხ მობს ერ თად

მე მჯერა შენი

ეს ცხოვრება ნეტარი,
ფიქრებივით მწველია,
სიყვარულზე არვინ იცის,
ბევრჯერ მიოცნებია.
დღეს კი როცა შენთან ვარ,
მიხარია სიცოცხლე,
მე გიმღერი და ყოველთვის,
შენზე ვფიქრობ იცოდე.
მისამღერი:
შენზე მლოცველი ვხარობ და გადარებ მზეს,
ასე ინება ღმერთმა,
და გული გამთბარი შენზე ოცნებებით,
ისევ მოგვიხმობს ერთად!

მჯერა შენი ღიმილის,
მჯერა შენი ნათების,
მაგრამ მაინც, ჩემო კარგო
ბევრი დამრჩა სათქმელი.
რომ ოცნება ოდესღაც
ცხადად გადაიქცევა,
ყველაფერი ჩვენთვის ქვეყნად
სიყვარულით იწყება!
მისამღერი:

მაგნოლია

1996 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნინო სირბილაძის

Allegretto

Voice

Piano

f

p

სა ღა მო თეთ რი ფე რი ე ბი ის მის


სიმ ღე რა თეთ რი გე დის ა უხ დე ნე ლი ოც ნე ბე
ბი დამ თო ვი ა შენ კი ა სე თი ნე ბი ე
რი ხარ უ სას რუ ლოდ მშვე ნი ე რი ნუ და


ი მორ ცხვებ შე მომ ხე დე მაგ ნო ლი ა
სი ო
მაშ სა ნამ დრო ა სა ნამ
არ და გი კარ გავს ფე რი
გა მო მი წო დე


ეგ შე ნი ნა ზი ხე ლი
მაშ სა ნამ შკ რავს მუ სი კა სა ნამ გე დი
3
მღე რის გთხოვ მი სახ სოვ რო ეს ვალ
3


სი ერ თად ერ თი
შე ნი ერ თი

მაგნოლია

საღამო, თეთრი ფერიები
ისმის სიმღერა თეთრი გედის
აუხდენელი ოცნებები დამთოვია.
შენ კი ასეთი ნებიერი
ხარ უსასრულოდ მშვენიერი
ნუ დაიმორცხვებ შემომხედე მაგნოლია.

სიო ამბორით გეახლება
ცას ვარდისფერი ეძალება
ნუთუ ოდესმე ეს მშვენიერი ზღვა აღელდება,
შენ კი ძვირფასო მაგნოლია
დაჭკნე ოდესმე არ მგონია
შენი ფურცლების ჰარმონია გამყოლია.

მისამღერი:

მაშ სანამ დროა სანამ არ დაგიკარგავს ფერი,
გამომიწოდე ეგ შენი ნაზი ხელი.
მაშ სანამ უკრავს მუსიკა სანამ გედი მღერის,
გთხოვ მისახსოვრო ეს ვალსი ერთადერთი.

შენი ფურცლების მაკრავს ნისლი
მიკვირს რატომ არ გამიფრინდი
როცა გითხარი უნებლიეთ გულის ფიქრი,
ყვავილო ჩემი გაზაფხულის
შენი სუნთქვით ვარ დაზაფრული
რა ლამაზი ხარ, რა ნანატრი, რა სათუთი.

მისამღერი:

ახალი საუკუნე

1990 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი მაყვალა გონაშვილის

Allegro

Voice

Piano

mf

p

რა ტომ ტი რის ნე ტა ქა რი რას ბუტ ბუ ტებს

p


ეს მდი ნა რე ნე ტავ
რა ტომ ჭკნე ბა ვე ლად ი ა რას ჭიკ ჭი კებს
ეს მერც ხა ლი დე და


mf
გა ფერ მკრთალ და ცი სარტ ყე ლა ცის ლურჯ თვა ლებს
mf
მე ცრემ ლი ანს ვხე დავ
3
3
რა ტომ ვნატ რობ რა ტომ ვნატ რობ უღ რუბ ლო


ცას ა ხალ სა უ კუ ნეს ნე ტა ვი რას ვეტყ ვით რას
f
დე და ო მზე ო ი სევ დაგ ვი ლო ცე გზე ბი
f
მზე ო ნა თე ლო სხი ვე ბი მოგ ვას ხუ რე


ქა რო მოგ ვე ცი ზე ცა ში სა ფრე ნი ფრთე ბი
გვე ლის ჩვენ მა ლე ა ხა ლი სა უ კუ ნე

ახალი საუკუნე

რატომ ტირის ნეტა ქარი
რას ბუტბუტებს ეს მდინარე ნეტავ,
რატომ ჭკნება ველად ია,
რას ჭიკჭიკებს ეს მერცხალი დედა,
გაფერმტკალდა ცისარტყელა
ცის ლურჯ თვალებს მე ცრემლიანს ვხედავ.
რატომ, ვნატრობ, რატომ
ვნატრობ უღრუბლო ცას,
ახალ საუკუნეს ნეტავი
რას ვეტყვით რას. . .

მისამღერი: დედაო მზეო, ისევ დაგვილოცე გზები,
მზეო, ნათელო, სხივები მოგვასხურე,
ქარო, მოგვეცი ზეცაში საფრენი ფრთები,
გველის ჩვენ მალე ახალი საუკუნე.

ფრთხილად, ფრთხილად, დედამიწას
არ ატკინოთ დღეს დაღლილი გული,
მოეფერეთ ველად იებს,
მოუშუშეთ სიყვარულით წყლული.
და ლოცვებში ვიგალობოთ
თორემ მოვა ქვეყნის დასასრული. . .
რატომ, ვნატრობ, რატომ
ვნატრობ უღრუბლო ცას,
ახალ საუკუნეს ნეტავი
რას ვეტყვით რას. . .

ღიმილის გოგონა

1977 წ. ქ. ლენინგრადი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი გივი გოგნიაშვილის

Allegretto




გო გო ვარ მე გობ რო ბის სუ ლი ვარ მუ დამ ვმღე რი
f
ვი ცი ნი მუ დამ მხი ა რუ ლი ვარ
f

ღიმილის გოგონა

მე ღიმილის გოგო ვარ,
და სიცოცხლის მტრედი ვარ,
მშვიდობის საგალობელს,
სიხარულით ვმღერივარ.
მე ღიმილის გოგო ვარ,
მეგობრობის სული ვარ,
მუდამ ვმღერი, ვიცინი,
მუდამ მხიარული ვარ.
მე ღიმილის გოგო ვარ,
მიყვარს დილა მზიანი,
მიყვარს ყველა ამ ქვეყნად,
ყველა ადამიანი.
მე ღიმილის გოგო ვარ,
საქართველოს შვილი ვარ,
ამ ზურმუხტ ქვეყანაზე,
მუდამ მოლხენილი ვარ.

ნაჩუქარი ღიმილი

1998 წ. ქ. გორი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ოთარ კავკასიძის

Allegro non troppo




ღა მე გულთ მი სა ნი და გე ძებ სად ხარ
სა და ხარ ფიქ რი შა ო სა ნი სულ ში ვის ვამ ჭრთა
მალ არ წივს შენ ნა იარ ლა მაზ მანს


ნე ტავ შე მეძ ლოს სი ცოცხ ლევ ოც ნე ბის და ნახ
mf
ვა ბად ში შე ვე დი და ვარ დის
mf
მოწყ ვე ტა გა მი ჭირ და შე ნი ღი მი ლის ჩუ ქე ბა. ღირ


და
რომ ვყო ფი ლი ყავ ა მა ყი
რო გორც სა ლი კლდე ე ბი
სიკვ დილ თან ჭი დილს
ახ ლა შე ვე ბი
p

ნაჩუქარი ღიმილი

თამბაქოს ბოლში იხრჩობა,
ღამე გულთმისანი,
დაგეძებ სად ხარ, სად ხარ
ფიქრი შაოსანი.
სულში ვისვამ ფრთამალ არწივს -
შენნაირ ლამაზმანს,
ნეტავ შემეძლოს სიცოცხლევ -
ოცნების დანახვა:

მისამღერი: ბაღში შევედი და ვარდის -
მოწყვეტა გამიჭირდა,
შენი ღიმილის ჩუქება ღირდა.
რომ ვყოფილიყავ ამაყი, -
როგორც სალი კლდეები,
სიკვდილთან ჭიდილს ახლა შევები.

დაცარიელდა ბედკრული
სული, ტანჯული დღეს,
ახლა მე თუმცა ვმღერივარ,
გიძღვნი სიმღერით ლექსს.
ვინ გაიგოს ახლა ჩემი -
დიდი გასაჭირი,
სუფრასთან ვზივარ, ღვინოს ვსვამ -
გიცქერი და ვტირი.

ზღაპარი გრძელდება

2004 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით ქურიძის

Animato




მო ვა და გა მან დობს რა მეს დღემ დე რომ
1
რა ტომ ღაც არ უთხ რა სხვას მი ღი მის
2
ა სე არ უნ თებ და სხვას რა მა ლე ღამ დე ბა


რა შ ცებ თენ დე ბა
მაგ რამ ეს ზღა პა რი
გრძელ დე ბა გრძელ დე ბა
Fine
Fine

ზღაპარი გრძელდება.

რაღაცას მპირდება კეთილი ღამე
რაღაცას ჩურჩულებს ქვიშასთან ზღვა,
ვიღაცა მოვა და გამანდობს რამეს,
დღემდე რომ რატომღაც არ უთხრა სხვას.
მიღიმის სიზმრების მეუფე მთვარე,
მეძახის ნაპირთან ცისფერი ზღვა.
ვიღაცა მოვა და ამინთებს თვალებს,
დღემდე რომ ასე არ უნთებდა სხვას.

მისამღერი: რა მალე ღამდება?!.. რა უცებ თენდება?!..
მაგრამ ეს ზღაპარი, გრძელდება, გრძელდება!...

მაჩუქე ლამაზი ზღაპარი ღამევ,
მაჩუქებს საოცარ სიმღერას ზღვაც,
მითხარი შენც ბედის ვარსკვლავო რამე,
შენ ერთმა იცი თუ რა ჰქვია მას.
მიღიმის სიზმრების მეუფე მთვარე,
რაღაცას ჩურჩულებს ქვიშასთან ზღვა,
ვიღაცა მოვა და ამინთებს თვალებს
მოვა და მაჩუქებს უძირო ცას.

მისამღერი რა მალე ღამდება?!.. რა უცებ თენდება?!..
მაგრამ ეს ზღაპარი, გრძელდება, გრძელდება!...
და ღამის სიმღერა, სულს ნაზად ედება,
ლამაზი ზღაპარი, გრძელდება, გრძელდება!...

მამის ზღაპარი

1993 წ. ქ.გორი

Allegro tranquillo

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნინო სირბილაძის




რამ უნ და და მა ვიწ ყოს
ჩა მიკ რავ გულ ში გა მიქ რობ სევ დას
რომ ავ მა თვალ მა არ და მა


ში ნოს ი ანვ რიხ თვე ში
მა ი სი ა მი ფვო ქო
ა მავ სო ლხი ნით და ა მამ ღე რო


ი ანვ რის თვე ში მა ი სი
ა მი ფვეთ ქო ა მავ სო ლხე ნით
და ა მამ ღე რო

მამის ზღაპარი

შენს ზღაპარს ვნატრობ მამიკო ახლა
სიკეთე შენი, რამ უნდა დამავიწყოს
ჩამიკრავ გულში, გამიქრობ სევდას,
რომ ავმა თვალმა, არ დამაშინოს
იანვრის თვეში მაისი ამიფეთქო
ამავსო ლხინით და ამამღერო

გამიგებ წამში იდუმალ ზრახვებს
ამიხდენ ნატვრას ქვეყანა იძრას თუნდაც
ამივსებ კოცნით თაფლისფერ თვალებს
და არაფერზე არ მეტყვი უარს.
გავყვებით ერთად ნისლიან ღამეებში
ქუჩას, რომელსაც ბოლო არ უჩანს.

ბაბაჯანა

1990 წ. სურამი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი დავით ქურიძის




ბევ რი მე ფიხ მოხ პო მთავ რო ბა
მა კე დო ნე ლი თუ
ნა პო ლე ო ნი ხომ ვერ გა და ურ


ჩა ამ ჟამ თა ცვლას თვალს ნუ მოგვ ჭრის
სხვი სი დრო შე ბი ბა ბა ჯა ნას
გვახ სოვს ქო შე ბი


ოქ როს ცის ცი მი ჩვენ მზეს ვერ შეგ ვიცვ ლის
და ღმერ თსაც წაგ ვარ თმევს ეს სი ხარ ბე
f
ზი დე ბა ბა ჯან
f


წყა ლი ბა ბა ჯან
თუ კი ხალ ხი მა გით გნატ რობს
ზი დე ბა ბა ჯან
ზი დე ბა ბა ჯან
წყა ლი ბა ბა ჯან
ო ოქ როდ ფა სობს
წყა ლი ბა ბა ჯან

ბაბაჯანა

ქედმაღლობამ და ამპარტავნობამ
ბევრი მეფის მოსპო მთავრობა
მაკედონელი, თუ ნაპოლეონი
ხომ ვერ გადაურჩა ავ ჟამთა ცვლას.
თვალს ნუ მოგვჭრის სხვისი დროშები
ბაბაჯანას გვახსოვს ქოშები
ოქროს ციმციმი ჩვენ მზეს ვერ შეგვიცვლის
და ღმერთსაც წაგვართმევს ეს სიხარბე.

მისამღერი:

ზიდე ბაბაჯან! წყალი ბაბაჯან!
თუკი ხალხი მაგით გნატრობს
ზიდე ბაბაჯან!
ზიდე ბაბაჯან! წყალი ბაბაჯან!
ოოო, ოქროდ ფასობს წყალი ბაბაჯან!

სხვის მზის ქვეშაც გავითოშებით
ბაბაჯანას გვახსოვს ქოშები
ვზიდოთ წყალი და ჩვენს მამულს ვასხუროთ,
რომ ქართველობა დავიმსახუროთ.

გუდიანი კაცი

(ბიჭის სამღერი)

1990 წ. ქ. გორი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი არჩილ აზმაიფარაშვილის




რომ მო ათ რევს გუ დას ბევრ ად გი ლი
ანს ბავ შვე ბით პი რამ დე ა მოვ სე ბუ
ლი ახ ლა ყვე ლა მივ


ხვდით ეს ტყუ ი ლი
ა. და ყვე ლამ ი ცო
დეს არ გვე ში ნი
ა

გუდიანი კაცი
(ბიჭისათვის)

გვაშინებენ ყველას დიდი ხანია
გუდიანი კაცით წვერმოშვებულით,
რომ მოათრევს გუდას ბევრ ადგილიანს,
ბავშვებით პირამდე ამოვსებული.
რად არ ეზარება ეს სიჯიუტე,
ან არ დაიღალა ბოლოს და ბოლოს?
ფეხით სიარული და მძიმე გუდით
ბავშვების რომ ჰქვია შემშინებელი.

მისამღერი: ახლა ყველა მივხვდით
ეს ტყუილია,
და ყველამ იცოდეს
არ გვეშინია.

ნეტავ თავის გუდა ვინ შეუკერა
გაუმაძღარი და უშველებელი,
ანდა თუ კი ახსოვს ცოტათი მაინც
ამ გუდის ნამდვილი მასწავლებელი.

გუდიანი კაცი

(გოგონას სამღერი)

1990 წ. ქ. გორი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნინო სირბილაძის




ა ერ თი სა წა დე ლიც ვერ ა ვის რუ
ლე ხელ პი და უ ბა ნელს ვერ გა მივ ლი
ა გუ დი ა ნი კა


ცი
რო
გორ მა ში
ნებს
იქ ნებ თქველ მი"შ ვე
ლოთ
გა
და მარ ჩი
ნეთ

გუდიანი კაცი
(გოგონასათვის)

ვეღარც ვიცეკვე და ვეღარც ვიხტუნე
გუდიანის შიშმა სულ გადამრია,
ერთი საწადელიც ვერ ავისრულე
ხელ-პირ დაუბანელს ვერ გამივლია.
ისე გამიმწარა ციცქნა ქალობა,
მურაბასაც გემ ოვერ ჩავატანე,
გახდასა და ჩაცმას ნუღარ იკითხავთ,
გუდიანი კაცის შიშით მასწავლეს.

მისამღერი: გუდიანი კაცი
როგორ მაშინებს,
იქნებ თქვენ მიშველოთ,
გადამარჩინეთ.

ან წაართვით გუდა, ან მე დამმალეთ,
სადაც ბუა-ბუა ვეღარ მიპოვის,
ანდა ჩააყლაპეთ მწარე წამალი,
სანამ უჩინ-მაჩინის ქუდს ვიშოვი.
ერთხელ კიდევ მინდა, რომ გაგაფრთხილოთ,
გევედრებით დედას, მამას და ბიძებს,
თუკი გუდიანისგან არ დამიცავთ,
უეჭველად გათხოვებას ვაპირებ.

სიმღერით დავხატავ ცხოვრებას

2011 წ. ქ. თბილისი

Andante Maestoso

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი თათია გაბეცაძის




mf
დაბ რუნ დე ბა
ზღაპ რად ქცე უ ლი
mf
მო გო ნე ბა
გა მი ტა ცებს
შე მო მა ტა რებს გზებს
სიზ მა რი ვით


გაფ რინ დე ბა
ვე ღარ შე ვა ჩე რებთ წა მებს
შე მოდ გო მით
ი სევ გა ჩუ ქებ და
მეს
ვიმ ღე რებ
შენ თვის
ვიმ ღე რებ ო დეს ღაც
სიყ ვა რულს


გა ვა ტან ვარ დის ფერ ოც ნე ბას გა ჩუ ქებ
ცრემ ლებს გა ფან ტულს ფოთ ლე ბად სიმ ღე რით
1.
დავ ხა ტავ დავ ხა ტავ ოც ნე ბას
1


2.
p
rit.
მო ნატ რე ბა თოვლის ფიფ ქე ბით გა და
2.
p
rit.
ი ფა რა

სიმღერით დავხატავ ცხოვრებას

მონატრება თოვლის ფიფქებით დაიფარა,

თეთრი მთვარე გამოაღვიძებს ფიქრებს,

დაბრუნდება ზღაპრად ქცეული მოგონება,

გამიტაცებს, შემომატარებს გზებს.

სიზმარივით გაფრინდება ვეღარ შევაჩერებთ წამებს,

შემოდგომით ისევ გაჩუქებ ღამეს.

მისამღერი: ვიმღერებ შენთვის ვიმღერებ ოდესღაც,

სიყვარულს გავატან ვარდისფერ ოცნებას,

გაჩუქებ ცრემლებს გაფანტულს ფოთლებად,

სიმღერით დავხატავ დავხატავ ცხოვრებას.

სიყვარული მოგონებებში ამღერდება,

შემოდგომა გაგვახსენდება ისევ,

ვარსკვლავები ფანტელებივით დაეშვება,

მონატრება გაივლის დათვლის წამებს.

ეს ზამთარიც გაივლის და ბავშვობა დაითვლის წამებს,

გაზაფხულზე ისევ მაჩუქებ ვარდებს.

Coda: მონატრება თოვლის ფიფქებით გადაიფარა

უშენოდ რა იყო

2009 წ. ქ. თბილისი

Allegretto mosso

მუსიკა ზურაბ ჩიხჩალაძის
ლექსი ნანა ცინცაძის




ეს ცი ვი მთვა რე არ შე იცვ ლის ფერს
ჩემ თან მო დი ხარ და შო რი ა გზა ვი ცი გა ა ღებ ამ
ჩა კე ტილ კარს რო გორ მიყ ვარ ხარ არ


მო ვუყ ვე ქარს ა ლერ სი უნ და სულ
ა ლერ სი ქალს მთვა რე შე იცვ ლის ფერს შენ ზე
მიყ ვე ბა მზე რა ღაც ა ხა ლი იწ ყე ბა ნუ


ა მი რევ გზებს ჩვე ნი შეხ ვედ რა დღეს თავ
და ვიწ ყე ბას გვპირ დე ბა
f
ჩემ გან ხარ შორს და ი
f
ცო დე ჩემ თან ხარ უ შე ნოდ მო დის ღა მე


მოხ ვალ და ვო ცი ჩუმ ცრემ ლებს დავ მა ლავ
არ გეტ ყვი და ვი ღა ლე
mf

უშენოდ რა იყო

უძილო ღამეებს მივყვები დღეს,
ეს ცივი მთვარე არ შეიცვლის ფერს
ჩემთან მოდიხარ და შორია გზა,
ვიცი, გააღებ ამ ჩაკეტილ კარს.
როგორ მიყვარხარ, არ მოვუყვე ქარს,
ალერსი უნდა, სულ ალერსი ქალს.
მთვარე შეიცვლის ფერს,
შენზე მიყვება მზე
რაღაც ახალი იწყება,
ნუ ამირევ გზებს,
ჩვენი შეხვედრა დღეს,
თავდავიწყებას გვპირდება.
მისამღერი: ჩემგან ხარ შორს და იცოდე ჩემთან ხარ,
უშენოდ მოდის ღამე,
მოხვალ და ვიცი, ჩუმ ცრემლებს დავმალავ
არ გეტყვი, დავიღალე...
იქნება დაღლილი ფიქრებით თოვს,
იქნება დღეს გული სიყვარულს მთხოვს
ჩემთან ხარ და მაინც მგონიხარ შორს,
ნეტავ რას ვეტყვით ამ ნაფერებ დროს.
რა ვქნა, რომ ისევ შენზე ფიქრებით თოვს,
აღარ წახვიდე, აღარ წახვიდე შორს.
ნეტავ რა უნდა სხვა,
შენგან ნაფერებ ქალს
მინდა რომ გული დაგითმო.
უნდა მოვუყვე ქარს,
როგორ მაყვარებ თავს,
ნეტა უშენოდ რა იყო.

შვიდფერა ყვავილი

1997წ. ქ. გორი

Allegro

მუსიკა ზურაბ ჩიხჩალაძის
ლექსი ნანი ჯაიანის




რომ სურ ვი ლე ბის წარღ ვნად მო ვე დო მთა და
ბარს დროს გა დავ წევ დი უ კან
პარ ნასს ვუწვ დენ დი თვალს და ქალ ღმერ თე ბის


ნა დიმს შე ვუ ერ თებ დი ხმას ამ ჩემს ხმას
f
ო რო გორ მინ და ყვე ლას ვუმ ღე რო და მი ვაწვ დი ნო
f
ჩე მი ხმა ო რო გორ მინ და ყვე ლას სიყ ვა რუ ლი


ჩემს გულ ში და ე ტი ოს ო რო გორ მინ და
ჩე მი სიმ ღე რით და ჩე მი წმინ და ოც ნე ბით
მე მი ვაწვ დი ნო ქალ ღმერ თე ბის ხმას და ყვე ლას ჩე მი
ხმა

შვიდფერა ყვავილი

ვეძებ და ვეძებ ყვავილს, შვიდფერას – ნატვრისთვალს
რომ სურვილების წარღვნად მოვედო მთა და ბარს,
დროს გადავწევდი უკან, პარნასს ვუწვდენდი თვალს,
და ქალღმერთების ნადიმს შევუერთებდი ხმას, ამ ჩემს ხმას.

მისამღერი: ო, როგორ მინდა ყველას ვუმღერო,
და მივაწვდინო ჩემი ხმა.
ო, როგორ მინდა ყველას სიყვარული
ჩემს გულში დაეტიოს.
ო, როგორ მინდა ჩემი სიმღერით
და ჩემი წმინდა ოცნებით
მე მივაწვდინო ქალღმერთების ხმას და
ყველას ჩემი ხმა.

ო, როგორ მინდა ამურს მშვილდ – ისრები ვთხოვო,
რომ სიძულვილით სავსეთ – სიყვარული ჰპოვონ,
თან დავუშენდი ისრებს, რომ სამოთხის მსგავსად
ყველგან ამ ქვეყნად ყველას, მოვახვევ სიყვარულის ზღაპარს.

სიცოცხლის ხე

1990 წ. ქგორი

Presto

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი არჩილ აზმაიფარაშვილის




შრი - ა - ლებს დუ - დუ - ნებს ცი - ცოცხ - ლის ხე
და ჰან - გებს მი - ათ - რენს ზე - ვით
f
სულ ყვე - ლას რომ ჰქონ - დეს
f


ეს სი - ცოცხ - ლის ხე მის ტო - ტებ - ში
სტვენ - დეს ბულ - ბუ - ლი თან ყვა - ო - დეს
სულ დღე

სიცოცხლის ხე

ამ სიმღერასავით ნეტავ,
რატომ აიტაცა ხმები,
შრიალებს, დუდუნებს სიცოცხლის ხე,
და ჰანგებს მიაფრენს ზევით.

მისამღერი: სულ ყველას რომ ჰქონდეს,
ეს სიცოცხლის ხე,
მის ტოტებში სტვენდეს ბულბული,
თან ყვაოდეს სულ დღე.
ჩვენ მივდივართ შორეთს,
რომ გავათენოთ,
და ნანატრი ლურჯი აპრილი
ამ ხეს რომ ვაჩვენოთ.

შემოდგომაზე აქ ცივი,
ნიავი რომ დაფრინავდა,
და პირსისხლიანი სიცოცხლის ხეს,
ტოტს-ტოტზე დაალეწავდა

მთვარის შუქზე

2013 წ. ქ.თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნუგზარ ერგემლიძის

Allegretto mosso

Voice

Piano

mf

ორ თა ჭა ლა ში მთვა რის შუქ ზე მო მე ლან დე ბი

mf

mf


ვერ ცხლის დი მებ ზე გაქ რე ბი ან სევ და დარ დე ბი
შენ თვის რამ დე ნი და მი გი ა ფი ან და ზე ბი
მაგ რამ მე რა ვქნა მთვა რის შუქ ზე მე ლა მა ზე ბი


f
მე ვე ვედ რე ბი ორ თა ჭა ლის ყო ველ გან თი ადს
f
შენს სა ხელ ზე რომ კე ლაპ ტა რი გულ ში ან თი ა
წუ თი სო ფელ მა სად მა ტა რა და სად არ მსდი ა


ეს ჩე მი გუ ლი სიყ ვა რუ ლის მი სა მარ თი ა
mf
მთვა რის შუქ ზე მთვა რის შუქ ზე ვუმ ღე რი მო დუ
mf
დუ ნე მტკვარს მთვა რის შუქ ზე ვე ფე რე ბი


საყ ვა რელ თბი ლის სა და მტკვარს მივ დი ვარ და
მი ვიმ ღე რი ვარს კვლა ვებ საც მი ვაწვ დენ ხმას
მთვა რის შუქ ზე ვე ფე რე ბი საყ ვა რელ თბი ლის


სა და მტკვარს

მთვარის შუქზე

ორთაჭალაში მთვარის შუქზე მომელანდები,
ვერცხლის სიმებზე გაქრებიან სევდა-დარდები,
შენთვის რამდენი დამიგია ფიანდაზები,
მაგრამ მე რა ვქნა მთვარის შუქზე მელამაზები.

მე ვევედრები ორთაჭალის ყოველ განთიადს,
შენს სახელზე რომ კელაპტარი გულში ანთია,
წუთისოფელმა სად მატარა და სად არ მსდია,
ეს ჩემი გული სიყვარულის მისამართია.

მისამღერი: მთვარის შუქზე, მთვარის შუქზე,
ვუმღერი მოდუდუნე მტკვარს,
მთვარის შუქზე ვეფერები,
საყვარელ თბილისსა და მტკვარს,
მივდივარ და მივიმღერი
ვარსკვლავებსაც მივაწვდენ ხმას,
მთვარის შუქზე ვეფერები,
საყვარელ თბილისსა და მტკვარს,

ჩვენი წარსული გამახსენე სიტყვა მაღირსე,
ვით დოქი ღვინით, სიყვარულით ისე ავივსე,
შენ რომ ეულად მიმატოვო არა მგონია,
გული გულს მაინც მოძებნისო გამიგონია.

მე ვევედრები ორთაჭალის ყოველ განთიადს,
შენს სახელზე რომ კელაპტარი გულში ანთია,
წუთისოფელმა სად მატარა და სად არ მსდია,
ეს ჩემი გული სიყვარულის მისამართია.

ყვავილები

1979 წ. ქ. თბილისი

მუსიკა ზურაბ ჩინჩალაძის
ლექსი ნანული ქოქოსაძის

Moderato assai




და ქარ ში მხრებ ზე გაშ ლი ლი თმე ბი
ამ თმებ ში შე ნი ხე ლით ჩაწ ნუ ლი
ი ა ვარ დი და ქრი ზან თე მე ბი


3
შე ნი თვა ლე ბი
ცრემ ლე ბი
სევ და
ცრემ ლე ბი
სევ და
ვით გა სა
ყი დი ქრი
ზან თე მე
f
ბი
ყვა ვი
ლე
ბი
ყვა ვი
f


ლე ბი შენ თვის მინ დო და მე ყვა ვი ლე ბი ყვა ვი
ლე ბი ყვა ვი ლე ბი შენ თვის მინ დო და მე
ყვა ვი ლე ბი

ყვავილები

ია, ვარდი და ქრიზანთემები
და ქარში მხრებზე გაშლილი თმები,
ამ თმებში შენი ხელით ჩაწნული,
ია, ვარდი და ქრიზანთემები.
შენი თვალები, ცრემლები, სევდა,
ცრემლები, სევდა,
ვით გასაყიდი ქრიზანთემები.

მისამღერი: ყვავილები, ყვავილები,
შენთვის მინდოდა მე ყვავილები

ჩვენს მერე ბევრი წყვილი ჩაივლის
ათასს ექნება გაშლილი თმები,
საყვავილესთან ისევ ეწყობა,
ია, ვარდი და ქრიზანთემები.
შენი თვალები, ცრემლები, სევდა,
ცრემლები, სევდა,
ვით გასაყიდი ქრიზანთემები.